მოგახსენებთ, რომ ჯანდაცვის პროფესიონალთა ფონდის მიერ საქართველოში მოწვეულია ისრაელის რამბამის ჰოსპიტლის საერთაშორისო ტრავმა ცენტრის ხელმძღვანელი და ტოპ ტრენერთა 5 კაციანი ჯგუფი (**Rambam** Health Care Campus, **Teaching Center** for Trauma, Emergency and MCS)
https://www.rambam.org.il/en/international_education/teaching_center_for_trauma_emergency_and_mcs/

რამბამის სამედიცინო-სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებულია მასობრივი კატასტროფების მართვის 3 დღიანი ტრენინგი პრეჰოსპიტალურ და ჰოსპიტალურ ეტაპებზე.

ტრენინგი ჩატარდება ა.წ. 15, 16, 17 ივნისს.
ტრენინგის პარტნიორი ორგანიზაციებია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი და ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი.

- 15 ივნისი - 08:30-19:00 - პრეჰოსპიტალური ტრენინგი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.
- 16 ივნისი, - 08:30-18:00 - ჰოსპიტალური ტრენინგი - ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი
- 17 ივნისი შემაჯამებელი ლექციები და დახურვის ცერემონიალი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი.

ტრენინგში მონაწილეობას ღებულობენ გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის და ემერჯენსი დეპარტამენტების თანამშრომლები - ექიმები, ლიდერი ექიმები, ლიდერი ექთნები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პასუხისმგებელი პირები და გადაწყვეტილების მიმღები პერსონები.

ტრენინგის პრეჰოსპიტალურ ნაწილში და კატასტროფის სიმულაციის პროცესში გამოყენებული იქნება სპეც-ეფექტები აფეთქების, სროლის ხმა, კვამლი და ა.შ.

- **კატასტროფის სიმულაციის დრო: 15:30 – 18:00, ხანგრძლივობა 2სთ 30წთ.**
- ადგილმდებარეობა - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ეზო - თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი (ირინა ენუქიძია ქ. 3).

ამავე დღეს გაიმართება პანელური დისკუსია, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ექიმები. საპატრულო პოლიციის და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პასუხისმგებელი პირები, რათა მრავალწლიანი გამოცდილება გაუზიარონ უცხოელ და ქართველ მსმენელებს.

სალექციო კურსი მოიცავს ისეთ საკითხებს (მასობრივი კატასტროფების მართვის თავისებურებანი), რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც ექიმების, ექთნების, საავადმყოფოს პასუხისმგებელი პირების, ასევე პოლიციელების და სამაშველო სამსახურის თანამშრომლებისთვის.

ტრენინგის ყველა მონაწილეს გადაეცემა საერთაშორისო სერტიფიკატი.

ტრეინინგის მსვლელობის დროს მონაწილეები უზრუნველყოფილნი იქნებიან კოფე ბრეიქით და ლანჩით.

ტრენინგში მონაწილეობის ღირებულება:
1 დღე (პრე-ჰოსპიტალური ტრენინგი) 180 ლარი,
3 დღე (პრე-ჰოსპიტალური + ჰოსპიტალური) - 260 ლარი.

1 დღიანი დასწრების უპგ კრედიტ ქულა 9
3 დღიანი დასწრების უპგ კრედიტ ქილა 21

გიგზავნით ვებ-გვერდის ბმულს, პროგრამას და მოკლე ვიდეო რგოლებს რამბამის ჰოსპიტლის და მისი ტრავმა ცენტრის შესახებ.

პატივისცემით,
მანანა გოგოლი MD

ჯანდაცვის პროფესიონალთა ფონდის გენერალური მდივანი
http://hpfund.net
https://www.facebook.com/HPFund7

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი
http://www.gruni.edu.ge/

6 ივნისი 2022

Mobile numb: (+995-593) 306 809
Email address: mananagogol@gmail.com

ჯანდაცვის პროფესიონალთა ფონდი
HPFund
418467037
Health Professionals Fund